პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 166 (5196)

1974 წ. 22 აგვისტო, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დიდ გზას გისურვებ

## კომკავშირელს, ხარკოვის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ნატაშა პოპოვას

ძვირფასო ნატაშა!

გულწრფელი ინტერესით გავეცანი შენს წერილს, ალკკ XVII ყრილობის დელეგატის, თითოეული კომკავშირელის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებაში ამ უდიდესი მოვლენის მონაწილის წერილს.

დიდად მახარებს, რომ შენი მიზანდასახული, შეუპოვარი, ყოველდღიური მუშაობა საშუალებას გაძლევს მოიპოვო საუცხოო შედეგები სწავლაში, ფიზკულტურასა და სპორტში. შენი სპორტული მიღწევები დამსახურებულად აღინიშნა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებით.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ძვირფასი თვისებები, როგორიცაა ჩვენი მაღალი იდეალებისადმი ერთგულება, მისწრაფება ცოდნის დაუფლებისკენ, შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში, კოლექტივიზმისა და ამხანაგობის გრძნობა დაგეხმარება ცხოვრებაში, მუშაობაში, ახალი სპორტული გამარჯვებებისა და რეკორდების გზაზე. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ნორჩი სპორტსმენები საბჭოთა სპორტის საუკეთესო ტრადიციების ღირსეული განმგრძობნი იქნებიან.

გისურვებ დიდ წარმატებებს სწავლაში, შრომაში, ახალი მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაში.

ლ. ბრეჟნევი.

# გულითადი მადლობა სამშობლოს, პარტიას

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

წლევანდელი წელი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ალკკ XVII ყრილობის დელეგატთა შორის მყოფი ვისმენდი თქვენს სიტყვას, თქვენს მამობრივ, გულში ჩამწვდომ მიმართვას ჩვენი საყვარელი სამშობლოს ახალგაზრდა თაობისადმი. ჩვენ ყველანი ღრმად აღელვებული ვიყავით იმ დიდი შეფასებით, რომელიც თქვენ მიეცით ლენინური კომკავშირის მოღვაწეობას. თითოეული ჩვენგანისთვის სამოქმედო პროგრამად იქცა ის ამოცანები, რომლებიც თქვენ დაუსახეთ ახალგაზრდობას.

ჩვენ, მოსწავლეები, ჩვენს მთავარ ამოცანას ვხედავთ იმაში, რომ გამუდმებით ვიზრუნოთ ცოდნის გაღრმავებისთვის, გამოვიმუშაოთ პრაქტიკული ჩვევები, მოვამზადოთ თავი ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში შრომისთვის. მე შემიძლია გიპატაკოთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, რომ, ისევე როგორც ჩემი ამხანაგების უმეტესობამ, წარმატებით დავამთავრე სასწავლო წელი და მეათე კლასში გადავედი.

მეორე ამოცანა, რომელიც მე დავისახე, არის ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება, მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება. ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში. ჩემი წარმატებები — ხუთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი, სამი საკავშირო რეკორდი — ეს პასუხია თქვენი ზრუნვისა მოზარდი თაობისთვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა.

ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ყოველი მოსწავლე გაიზარდოს განათლებული, ძლიერი, მამაცი: შესანიშნავი სკოლები, ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზები, სტადიონები. დიდი მადლობა ამისთვის.

პირობას ვდებ თქვენს წინაშე, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ დაუღალავად ვიშრომებ, ვისწავლი, ავიმაღლებ სპორტული ოსტატობის დონეს. როგორც ცურვაში ქვეყნის ნაკრების წევრი, თავს არ დავზოგავ, რომ ვამრავლო საბჭოთა სპორტის დიდება, დავიცვა ჩვენი სამშობლოს სპორტული ღირსება.

ნატალია პოპოვა,
(ხარკოვის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი).

# კიდევ ორი გამარჯვება

კაპანა, 21 აგვისტო. მოყვარულ მოკრივეთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე დღეს ასპარეზობდა მხოლოდ ორი საბჭოთა სპორტსმენი. ქვემსუბუქი წონის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბ. კუზნეცოვმა თავიდანვე შეუტია შვედ ო. ლილბის, რომელიც სულ მალე ნოკდაუნში აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ რინგის მსაჯმა შეწყვიტა ბრძოლა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო.

კარგად იბრძოლა ერევნელმა ათლეტმა დ. ტოროსიანმა (მძიმე წონა). მან პირველსავე წუთზე ნოკდაუნში ჩააგდო განელი ჯ. დესტიმო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლომდე იბრძოლა და მხოლოდ ქულებით წააგო შეხვედრა. ამავე წონაში გამარჯვება მოიპოვა კუბელმა ს. რომერომ დომინიკანელ ჰ. საბასთან. მასპინძელი მოკრივის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსაჯმა პირველივე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა.

**კრივი**

**[illegible]**

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან კალათბურთში ი. გაგარინის სახელობის საერთაშორისო ტურნირის შედეგები. გაგაცნობთ ბოლო ტურის ორ ანგარიშს: სსრ კავშირი I — სსრ კავშირი II 93:75, ესტონეთი (ნაკრები) — „ოლიმპია" (იუგოსლავია) 103:98.

სატურნირო ცხრილი:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი I | 4 | 4 | 0 | 400—299 | 4 |
| ესტონეთი | 4 | 3 | 1 | 338—342 | 3 |
| სსრ კავშირი II | 4 | 2 | 2 | 293—297 | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 1 | 3 | 279—312 | 1 |
| „ოლ." (იუგ.) | 4 | 0 | 4 | 318—378 | 0 |

# ფინალები დაგვიანებით

ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი მონრეალში დიდი შეფერხებებით ტარდება. საქმე ისაა, რომ მასპინძლებმა ამ ჩემპიონატისთვის ვერ მოასწრეს დიდი ოლიმპიური ველოტრეკის მშენებლობის დამთავრება და ასპარეზობის მონაწილეებს ბრძოლა უხდებათ სახელდახელოდ აგებულ ველოსტადიონზე, რომელსაც ბევრი წუნი აქვს. ამ მიზეზით შაბათის პროგრამა მთლიანად გადაიდო, კვირას კი ორი ფინალის ნაცვლად ოთხი ჩატარდა.

საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა ველოსპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. მათი რიცხვი კი მონრეალში საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ფინალის ბილეთები 10 დოლარზე ძვირადაც იყიდება.

ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა გამოდევნებით რბოლაში თ. გარკუშინამ. ფინალში მან დაამარცხა თანამემამულე ვ. სმირნოვა და თავისი ჯილდოების კოლექცია კიდევ ერთი ოქროს მედლით გაამდიდრა. გადამწყვეტ ბრძოლაში გარკუშინამ 3.58,73 აჩვენა.

სალიდერო რბოლაში სსრ კავშირის გუნდს მონაწილენი არ გამოუყვანია. აქ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გფრ-ის ველოსიპედისტმა ვ. ბრაუერმა მოიპოვა. 50 კილომეტრის გავლას გამარჯვებულმა 45.12,41 მოანდომა, რაც საათში საშუალოდ 36 კილომეტრზე მეტს უდრის.

ჩვენ ვწერდით სპრინტერ ვაჟთა ასპარეზობისა და იმის შესახებ, რომ ამ სახეობაში ს. კრავცოვმა (სსრ კავშირი) ფინალური ბრძოლა წააგო ჩეხოსლოვაკიელ ა. ტკაჩთან. ბრინჯაოს მედალს სპრინტში იტალიელი დ. როხი დაეპატრონა. გადამწყვეტი სერიები მან მოუგო ნახევარფინალში დამარცხებულ საბჭოთა სპრინტერს ა. იაბლუნოვსკის. ამრიგად, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს წლეულს ბრინჯაოს მედალიც არ ერგო.

**19 $\frac{45}{}$**

გუშინ მონრეალში ჩატარდა გუნდური შეჯიბრება 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში. ოქროს მედალი გფრ-ის ნაკრებმა დაისაკუთრა — ამით მან შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული, რომელიც შარშან ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში მოიპოვა. ვერცხლის მედლები გდრ-ის ველოსიპედისტებს ერგოთ, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიელებს. სსრ კავშირის ნაკრები ნახევარფინალში მომავალ მსოფლიო ჩემპიონთან დამარცხდა, მერე კი III ადგილისთვის ბრძოლაც წააგო ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

**ველოსპორტი**



# პირველი ჩემპიონები

## ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში.

ვენა, 20 აგვისტო. უჩვეულო სიცხეა ავსტრიის დედაქალაქში — ჩრდილში თერმომეტრი 32 გრადუსს აჩვენებს. უფრო ცხელა „შვიმ სტადიონის" აუზში, სადაც მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში. შეჯიბრების პირველმა დღეებმა დაამტკიცა, რომ ასპარეზობის მონაწილეები ჩინებულად არიან მომზადებული. გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები, დამყარდა მსოფლიოს, ევროპისა და ეროვნული რეკორდები. გდრ-ის მოცურავე გოგონამ კ. ენდერმა კვლავ ცხადყო, რომ სპრინტერულ დისტანციაზე ჯერჯერობით ტოლი არა ჰყავს. თავისუფალი სტილით 100-მეტრიანი დისტანცია მან 56,96 წამში დაფარა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ენდერის თანაგუნდელმა, 14 წლის გოგონამ კ. ლინკემ თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში არათუ გაუსწრო მეტოქეებს, არამედ ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 2.34,99. ამ სახეობაში ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ოდესელ მოსწავლეს მ. იურჩენიას. ისევ ბრინჯაოს ჯილდო მიიღო მოსკოველმა ა. სამსონოვმა. იგი თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში მესამე იყო — 1.53,74. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია. სამსონოვს შეეძლო კონტინენტის უძლიერესი მოცურავის ტიტული მოეხვეჭა, მაგრამ ფინიშზე ძალა არ ეყო. ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა გფრ-ის წარმომადგენელმა პ. ნოსკემ, რომელიც ევროპის რეკორდსმენიც გახდა — 1.53,68.

ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში ბრწყინვალედ გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ნ. პანკინი. მან 1.05,63 აჩვენა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იმარჯვა უნგრელმა ა. ხარგიტაიმ, რომელმაც ჩემპიონობაც მოიპოვა და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 4.28,89. ძველი მიღწევა ეკუთვნოდა ამერიკელ ზ. ჰოლს. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ა. სმირნოვს — 4.32,48. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია. ევროპის ჩემპიონი გახდა და კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა გდრ-ის გუნდის წევრმა ა. ფრანკემ თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში — 4.17,83. V ადგილზე გასულმა საბჭოთა სპორტსმენმა ლ. კრუტიაკოვამ საკავშირო რეკორდი დაამყარა — 4.28,66.

როგორც მოსალოდნელი იყო, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა მოიგო იტალიელმა კ. დიბიასიმ — 603,51. მეორე იყო გამარჯვებულის თანაგუნდელი ფ. კანიოტო — 598,94, მესამე — საბჭოთა სპორტსმენი ვ. სტრახოვი — 588,71.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის ბედი ბოლო ხუთ წუთში გადაწყდა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 10:9.

ძალზე დაძაბული გამოდგა საბჭოთა სპორტსმენების შეხვედრა ჰოლანდიის წყალბურთელთა ნაკრებთან. 20-წუთიანმა ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 6:6.

* * *

სურათზე: ნ. პანკინი დისტანციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შრომა, დასვენება და ისევ შრომა

მზე, ჰაერი დ წყალი — უკეთესი დასვენება სპორტსმენებისთვის არც არსებობს. მაგრამ მათი უოველდღიური ცხოვრება ზღვისპირა კურორტ ლესელიძეში საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივი დამსვენებლების დღის რეჟიმისგან. სპორტსმენმა უნდა დაისვენოს და ივარჯიშოს კიდეც, თანდათანობით აღიდგინოს ენერგია და მოამზადოს ორგანიზმი ახალი ბრძოლებისთვის.

ისინი დღეს ყველანი ერთად არიან — კალათბურთელებიცა და ტანმოვარჯიშეებიც, ფრენბურთელებიცა და მოჭიდავეებიც. ერთი ჰაერით სუნთქავენ, ერთი მზის ქვეშ იკაჟებენ სხეულს. მერე კი მათი გზები გაიყრება. კალათბურთელები საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგებიან, ჩემპიონატისთვის, რომელიც წლეულს დაიწყება და მხოლოდ მომავალი წლის გაზაფხულზე გადაკვეთს ფინიშის ხაზს.

ამ მარათონულ ტურნირში წარმატების მიღწევა ძნელია, თუ ზაფხულშივე არ დააგროვე ენერგიის გარკვეული მარაგი, რომელიც შემდეგ თანაბრად უნდა გაანაწილო გრძელი და მომქანცველი თვეების მანძილზე. ლესელიძეში გამგზავრების წინ შევხვდით თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა უფროს მწვრთნელს ლევან მოსეშვილს. იგი სერიოზულადაა შეშფოთებული იმის გამო, რომ კალათბურთელებს სპორტის სახახლის რემონტთან დაკავშირებით გაუძნელდებათ არა მარტო საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება, არამედ თვით ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობაც. ამ საკითხზე დღესდღეობით შესაძლოა ნაკლებს ფიქრობენ, მაგრამ დადგება დრო და პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრება გუნდის წინაშე. კარგია, თუ თბილისის დინამოელებს ამ საფიქრებელს მაინც დროულად მოვაცილებთ. ჩემპიონატის მსვლელობაში მათ თავსატეხი ისედაც ბევრი ექნებათ.

ფრენბურთელთა სამზადისმაც, ისევე როგორც ტანმოვარჯიშეების წვრთნამ, რამდენიმე კონკრეტულ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი. მთავარი კი მათ შორის, ჩვენი აზრით, დაკარგული პოზიციების აღდგენაა. შრომა, ვარჯიში, დასვენება და ისევ შრომა — აი, ერთადერთი სწორი გზა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ლესელიძეში ისვენებენ ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეებიც. ისვენებენ მძიმე და სასახელო ბრძოლების შემდეგ, ემზადებიან ახალი სტარტებისთვის.

• • •

სურათებზე: ზევით — თბილისის „დინამოს" კალათბურთელები მძლეოსნურ კროსს ატარებენ; ტანმოვარჯიშეთა დილის გამამხნევებელი ვარჯიში; ქვევით — ფრენბურთელთა მორიგი სამუშაო დღე; ზღვისპირა პარკში ისვენებენ მოჭიდავეები რომან მარსაგიშვილი (მარცხნივ) და მურად ცნობილაძე.

გ. ზარგარიანის ფოტოები.

## ნორჩები იძენენ ჯანმრთელობას

ზესტაფონის საქალაქო პიონერთა ბანაკი „მერცხალი", რომელიც კულტურისა და დასვენების ბაღშია გახსნილი, შინაარსიან და საინტერესო მუშაობას ეწევა. აქ ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა კულტურული დასვენების, გართობისა და სპორტული დასტატებისთვის. ბანაკის ხელმძღვანელი ს. ცხადაძე, პედაგოგები მ. მაჩიტიძე, მ. ზვიადაძე და სხვები ზრუნავენ, რომ ნორჩებმა შინაარსიანად დაისვენონ. 100-ზე მეტი ბავშვი შეჯიბრებებს მართავს ფრენბურთში, კალათბურთში მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, ჭადრაკში, შაშსა და სპორტის სხვა სახეობებში.

ა. განუგრაევა.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### ზაფხულში კი ცურვას სწავლობენ...

ლიტვის დედაქალაქის შემოგარენში, გელასის ტბის ნაპირზე გაშლილია მე-15 საშუალო სკოლის კარვების ქალაქი, რომლის ყველა „მცხოვრებმაც" ისწავლა ცურვა და ჩააბარა შმდ კომპლექსის ნორმატივები ამ სახეობაში.

„ცურვის კლასი", რომელიც ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ვ. იკამასის თაოსნობით შეიქმნა, უკვე მეორედ შეიკრიბა ბუნების წიაღში. ბავშვები ათ დღეში სწავლობენ ცურვას, მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ვ. იკამასმა წამოაყენა წინადადება, რომ გაისად კლასი „ნეპტუნი" საქალაქოდ გადაკეთდეს. მაშინ კარვების ქალაქში ვილნიუსის სხვა სკოლების ბავშვებსაც გაგზავნიან.

ხ. ვაინტრაუბასი.
(საკდესხის კორ.).

ვილნიუსი.

## რედაქციას გვთხოვენ

### წერილი რედაქციას

გვსურს გულისწყრომა გაგიზიაროთ და გადმოგცეთ ჩვენი გასაჭირი: გამოწერილი გვაქვს გაზეთი „ლელო", მაგრამ, როგორც წესი, მას არარეგულარულად ვღებულობთ. მაგალითად, ამ ბოლო ხანებში არ მიგვიღია №№ 148, 149, 150, 151. როცა ჩვენი სოფლის ფოსტალიონს მოვთხოვეთ განმარტება, მან გვიპასუხა, რაიონულ ცენტრში არ გვაძლევენ გაზეთებსო. მარტო „ლელო" კი არა, სხვა გაზეთებიც არ მოგვდის. გთხოვთ გვირჩიოთ, როგორ მოვიქცეთ.

ჩვენი მისამართი: ქობულეთი, სოფლის საბჭო კვირიკე, სოფელი ზედა კვირიკე. ტ. დიასამიძე, ფ. ჩილინგარიდი, მ. ქათამაძე, დ. შარვაშიძე, გ. კალაიციდი და სხვ.

**რედაქციისგან:** ანალოგიური წერილები რედაქციას ხშირად მოსდის, იმედია სათანადო ინსტანციები დაინტერესდებიან აღნიშნული გარემოებით და მიიღებენ ზომებს.

## [illegible]

### ბათუმი

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა აჭარის წლევანდელი პირად-გუნდური პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „განთიადის", „სპარტაკის", „კოლმეურნისა" და „ვოდნიკის" ნაკრები გუნდები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა. პირად ჩათვლაშიც მათი წარმომადგენელი ი. ზაბოლოტნი იყო წინ.

ო. მურვანიძე.

### ზუგდიდი

ამას წინათ ზუგდიდის კომკავშირისა და დოსააფის საქალაქო კომიტეტებმა გამართეს ქალაქის პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში 13 კოლექტივის 90 მსროლელი მონაწილეობდა. 154 ქულით გაიმარჯვეს ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების წარმომადგენლებმა. ქალთა შორის პირველი იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სპორტსმენი ნ. ქირია. ვაჟთა შორისაც ამავე საწარმოს წარმომადგენელმა გ. ბობოხიამ გაიმარჯვა.

ბ. ალშიბაია.





# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

20 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

„სპარტაკი" — „დინამო" (კიევი) 2:0. ეს მეტად მნიშვნელოვანი, ორივე გუნდისთვის საპასუხისმგებლო მატჩი ჩატარდა ძალზე საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. სპარტაკელებმა თავგამოდებით იბრძოლეს და დამსახურებულად დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი და ჩემპიონატის ლიდერი. ანგარიში 24-ე წუთზე გახსნა ბულგაკოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ კიეველთა კარი მეორედ აილო პისკარიოვმა. უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია კიეველი ვერემეევი.

„ზენიტი" — „ქაირათი" 3:2. ლენინგრადელებმა მძიმე ბრძოლაში შეძლეს 2 ქულის აღება. მათი მხრივ ბურთები გაიტანეს ნიკოლაევმა, სტრეპეტოვმა და ზინჩენკომ. სტუმართაგან თავი გამოიჩინა იონკინმა: მან 2 გოლი გაიტანა და 13 ბურთით კვლავ სათავეში უდგას ჩემპიონატის სნაიპერთა სიას.

„დნეპრი" — „ცსკა" 1:0. გადამწყვეტი ბურთი არმიელთა კარში გაიტანა სლობოდიანმა.

ერევნის „არარატი" ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მიწვეულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ მისი შეხვედრა ლვოვის „კარპატისთან" გადადებულია და შედგება მოგვიანებით.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

## პირველი ჯგუფი

● „განთიადი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

გოლი, რომელმაც მეტალურგებს გამარჯვება მოუტანა, მე-60 წუთზე გაიტანა შენგელიამ.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

წინა ტურში დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის შემდეგ სპარტაკელებმა მაქსიმალური მონდომებით ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. თავი გამოიჩინა კოზაევმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ცხინვალელი ქ. ლოლაევი. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

თოდიძისა და აუშტროვის 2 გოლს თელაველებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ცირეკიძე).

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:2. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).

47-ე წუთისთვის ქობულეთელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (მელნიკოვი, დიმანოვი). ამის შემდეგ „შუქურამ" საქმე მოთავებულად მიიჩნია, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს სტუმრებმა. მამისწარაშვილმა ჯერ პენალტით, ხოლო შემდეგ თამაშიდან აღადგინა თანაფარდობა.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

ასპინძელ ფეხბურთელთა ხულიგნურმა საქციელმა ამ მატჩში ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მინდვრიდან გააძევეს პ. ქავთარაძე, გაფრთხილებული არიან ტ. გელაშვილი (ეს უკვე მესამედ) და პ. წამალაშვილი (მეორედ). საინტერესოა, რა ზომებს მიმართავენ ამ ინციდენტის გამო რაიონის სპორტული ხელმძღვანელები.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:2. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

ზესტაფონის სტადიონზე ამ დღეს აღმაშფოთებელი უწესრიგობა სუფევდა. თუ ამგვარი რამ გამეორდა, დადგება საკითხი ზესტაფონიდან კალენდარული მატჩების გადატანის თაობაზე.

● „ივერია" (ხაშური) — ასკ (თბილისი) 0:3. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

არმიელ სპორტსმენთა უპირატესობა ნათელი იყო მთელი მატჩის მსვლელობაში. 2 გოლი გაიტანა დარჯანიამ, 1—ლაბაძემ.

ასეთი იოლი გამარჯვების მიუხედავად, ასკ-ს ფეხბურთელები უხამსად იქცეოდნენ, რისთვისაც გაფრთხილებული არიან რ. კაპანაძე და ვ. ასატუროვი, თანაც ეს უკანასკნელი მეორედაა გაფრთხილებული მიმდინარე სეზონში.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (სოხუმი) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, ამასთან იგრძნობოდა დინამოელთა საერთო ტექნიკური უპირატესობა. მაგრამ ცხაკაიელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას დინამოელთა დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა, რითაც კარგად ისარგებლა ხოფერიამ — 1:0.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

ლოკომოტიველთა კარში ბურთი გაიტანა კოპალეიშვილმა. მანვე დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილება მიიღო.

● „სულორი" (ვანი) — „მადაროელი" (ჭიათურა) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ვანელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი გააწყეს საუკეთესოდ მოთამაშე „მადაროელის" წინააღმდეგ და მხოლოდ უწესრიგობით, უდისციპლინობით გამოიჩინეს თავი: მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გაძევებულ იქნენ ვ. ტრაპაიძე და თ. ხეფარიძე.

## მეორე ჯგუფი

### I ზონა

„მადნეული" (ბოლნისი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 5:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „სამცხე" (აწყური) 1:0, „არაგვი" (დუშეთი) — „განახლება" (ადიგენი) 2:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:3.

### II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:1, „სქური" (წალენჯიხა) — „განთიადი" (აბაშა) 5:0, „გიგანტი" (ლაითური) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 9:2.

## ზონალური პირველობა

„ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „თრიალეთი" (წალკა) 3:2, „არაგვი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (მარნეული) 3:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „მეშაქრე" (აგარა) 3:3, „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) — „შალაური" (თელავი) 2:1, „იორი" (სართიჭალა) — „წინანდალი" (თელავი) 3:1, „ქიმიკოსი" (ახმეტა) — „იორი" (თიანეთი) 1:1, „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) — „მშენებელი" (ჭიათურა) 2:0, „ქიმიკოსი" (წულუკიძე) — „ხვანჭკარა" (ამბროლაური) 3:1.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 21 | 14 | 5 | 2 | 45—15 | 33 |
| „მადარ." | 21 | 13 | 4 | 4 | 38—12 | 30 |
| ასკ (თბილისი) | 20 | 11 | 6 | 3 | 46—22 | 28 |
| „დინამო" | 21 | 11 | 6 | 4 | 36—18 | 28 |
| „სალხინო" | 21 | 8 | 11 | 2 | 30—18 | 27 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 22 | 10 | 7 | 5 | 38—28 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 20 | 10 | 6 | 4 | 41—26 | 26 |
| „ლოკომ." | 19 | 8 | 7 | 4 | 31—23 | 23 |
| „ეგრისი" | 22 | 9 | 5 | 8 | 30—27 | 23 |
| „შუქურა" | 22 | 8 | 6 | 8 | 28—22 | 22 |
| „კახეთი" | 21 | 8 | 6 | 7 | 35—33 | 22 |
| „კოლხეთი" | 21 | 6 | 9 | 6 | 28—27 | 21 |
| „ამირანი" | 20 | 7 | 5 | 8 | 19—21 | 19 |
| „ქართლი" | 22 | 7 | 5 | 10 | 34—37 | 19 |
| „მეშახტე" | 21 | 7 | 4 | 10 | 26—38 | 18 |
| „განთიადი" | 22 | 4 | 7 | 11 | 24—37 | 15 |
| „სულორი" | 22 | 5 | 4 | 13 | 20—60 | 14 |
| „ვარძია" | 22 | 4 | 3 | 15 | 17—42 | 11 |
| „სპარტაკი" | 22 | 3 | 4 | 15 | 23—49 | 10 |
| „ივერია" | 22 | 4 | 0 | 18 | 19—53 | 8 |

## გათამაშების ცხრილები

### II ჯგუფი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 12 | 8 | 4 | 0 | 37—8 | 20 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 14 | 7 | 4 | 3 | 26—16 | 18 |
| „განთიადი" (კასპი) | 13 | 7 | 3 | 3 | 29—20 | 17 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 13 | 7 | 2 | 4 | 27—15 | 16 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 13 | 5 | 5 | 3 | 27—22 | 15 |
| „მადნეული" (ბოლნისი) | 13 | 5 | 4 | 4 | 26—28 | 14 |
| „ყინწვისი" (ქარელი) | 13 | 5 | 2 | 6 | 24—20 | 12 |
| „კოლმეურნე" (ბორჯომი) | 12 | 5 | 2 | 5 | 21—24 | 12 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 14 | 4 | 4 | 6 | 25—29 | 12 |
| „განახლება" (ადიგენი) | 13 | 4 | 4 | 5 | 17—22 | 12 |
| „სამცხე" (აწყური) | 14 | 1 | 4 | 9 | 19—43 | 6 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 14 | 1 | 2 | 11 | 10—41 | 4 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 13 | 9 | 2 | 2 | 33—16 | 20 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 13 | 7 | 4 | 2 | 32—13 | 18 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 12 | 7 | 4 | 1 | 26—12 | 18 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 13 | 6 | 4 | 3 | 28—15 | 16 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 12 | 5 | 2 | 5 | 32—28 | 12 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 13 | 4 | 4 | 5 | 23—21 | 12 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 13 | 3 | 5 | 5 | 21—28 | 11 |
| „კოლმეურნე" (გულრიფში) | 12 | 4 | 3 | 5 | 17—28 | 11 |
| „მზიური" (გალი) | 11 | 1 | 6 | 4 | 15—22 | 8 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 13 | 2 | 2 | 9 | 15—33 | 6 |
| „განთიადი" (აბაშა) | 13 | 1 | 4 | 8 | 11—37 | 6 |

# გაიმარჯვეს უკრაინელებმა

ჩერკასკი, 20 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საკავშირო ფინალურ ტურნირში „სიჭაბუკის თასზე" გამარჯვება მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა, რომელიც დაეუფლა საპატიო პრიზს.

საქართველოს გუნდმა ზედიზედ 2 მატჩი დაამთავრა ფრედ (ორივე შემთხვევაში — 0:0) უზბეკეთისა და ბელორუსიის ფეხბურთელებთან და ახლა იგი III ადგილისთვის იბრძვის.

# პირველი შეხვედრები, პირველი წარმატებები

ნიუ იორკი, 21 აგვისტო. ამ დღეებში სტარტს აიღებს აშშ-ს ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც სხვებთან ერთად გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენებიც — ო. მოროზოვა, ა. მეტრეველი და თ. კაკულია. მანამდე ჩვენი ჩოგბურთელები გამოდიან ორ საერთაშორისო ტურნირში, რომლებიც ნიუ პორტსა და საუთ-ორანჯეში დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს მოროზოვამ (თამაშობდა ნიუ პორტში) სძლია ავსტრალიელ უ. დორნერს — 6:1, 6:4, ხოლო მეტრეველმა (ორანჯეში) — ესპანელ მ. სანტანას — 6:2, 6:3.

ქართველმა სპორტსმენმა თუ ასევე ბედნიერად გაიარა მეორე წრე, შესაძლება მისი მეტოქე იყოს ინდოეთის ჩემპიონი მ. არმიტრაჯედი — თავისი ქვეყნის ნაკრების ლიდერი დევისის თასის გათამაშებაში, რომელთანაც საბჭოთა გუნდს ნახევარფინალური შეხვედრა ექნება სტუმრად.

# მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 23-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო": 8 (კრივი), 10 (საბუერო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 32 (წყალში ხტომა), 37 (სროლა).

„სპორტლოტო-2": 11 (ველოსპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (ცხენოსნობა), 23 (მძლეოსნობა), 33 (რეგბი), 40 (ტურიზმი).



ბრძოლის მოლოდინში...

ზ. გურასაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა იქნება ხვალ, კაპიტანო?



— მე მინდა მთლიანად შევცვალო ცხოვრების გზა, შევცვალო რიტმი, მუშაობა, რეჟიმი, რათა ყველა „პოტენციალს" მივცე სრულად განვითარების შესაძლებლობა, — თქვა მოდესტას პაულაუსკასმა.

ამ საქვეყნოდ სახელგანთქმულ კალათბურთელს მოსკოვში შევხვდით სან-ხუანის მსოფლიო ჩემპიონატიდან საბჭოთა ნაკრების დაბრუნების შემდეგ. პაულაუსკასმა, გუნდის კაპიტანმა, დედაქალაქში მსოფლიო ჩემპიონთა დიდი ბროლის თასი ჩამოიტანა. ახლა იგი, ისევე როგორც სერგეი ბელოვი, მსოფლიო ჩემპიონატების ორი ოქროს მედლისა და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მფლობელია. უმაღლესი ჯილდოების ასეთი კოლექცია ამ ორის გარდა მსოფლიოს არც ერთ კალათბურთელს არა აქვს.

მოდესტას პაულაუსკასი ათი წელიწადია თამაშობს ქვეყნის ნაკრებში და ახლა განზრახული აქვს სპორტს გამოეთხოვოს. ამ შეხვედრის დროს ჩვენ მას ვთხოვეთ გაეზიარებინა მომავალი გეგმები.

— სპორტიდან ჩემი საბოლოოდ წასვლის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, — გვითხრა მან. — მაგრამ მეუღლე უკვე მზადაა, რომ გამოთხოვებისას ვარდების თაიგულები მიართვას ჩემს მწვრთნელებს — ბიმბას „ჟალგირისიდან", კონდრაშინსა და ბაშკინს — სსრ კავშირის ნაკრებიდან. მინდა მუშაობა დავიწყო კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრაზე. ამ კათედრაზე ტარდება საინტერესო მეცნიერული მუშაობა, სწავლობენ სპორტის პრობლემებს, ჩემი სპეციალობა კი — ფიზკულტურის ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული — კვლევითს მუშაობასაც ითვალისწინებს. ვიმუშავებ თუ არა კალათბურთელთა მწვრთნელად? ვფიქრობ, ამ საქმეს კაცმა ასე უცებ არ უნდა მოჰკიდოს ხელი. მწვრთნელის სამუშაო განსაკუთრებულია. ეს სულ სხვა სპეციალობაა, სულ სხვაგვარი მიდგომა ადამიანებისადმი. თუ ეს ნიჭი აღმომაჩნდა, მაშინ შეიძლება ვიმუშაო კიდეც გუნდთან.

● გულის სიღრმეში ალბათ შეშფოთებული ხართ, ამდენი წლის შემდეგ ბევრი რამ თავიდან რომ უნდა დაიწყოთ...

— საერთოდ საგანგაშო და შემაშფოთებელი არაფერია. მე მწამს ხვალინდელი დღისა, მაგრამ გარკვეული სირთულეები მაინც შემხვდება. მაგალითად, ახლა მიჩვეული ვარ, რომ სტადიონზე მივდივარ, როგორც მონაწილე, რომ შემიძლია ვნახო კალათბურთელთა ყველა მატჩი, მათ შორის ისინიც, რომლებშიც ჩემი გუნდი არ თამაშობს. ერთი წლის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვლება. კარგი, გამაცილებენ სპორტიდან. შეიძლება გამოთხოვებისას თაიგულებიც მომართვან, ხელიც ჩამომართვან, ხვალ კი ალბათ მატჩზე დასასწრებლად ბილეთის შოვნა დამჭირდება. მაგალითად, მოსკოვში ერთი სასაცილო ამბავი მოხდა. ცნობილ ჰოკეისტს კონსტანტინე ლოკტევს გაცილებისას სპორტის სასახლის სპეციალური უნიკალური საშვები გადასცეს, რომლითაც შეეძლო ყველა სპორტულ შეჯიბრებას დასწრებოდა. 12 ათასი მაყურებელი მოწმე იყო ამ გულთბილი გაცილებისა. მაგრამ მერე, როცა ლოკტევი სტადიონზე მივიდა, უთხრეს, ბილეთის გარეშე ეს საშვები არ გამოგადგებათ.

მე ვფიქრობ, ღირს მოეწყოს სპეციალური კლუბები სპორტსმენებისთვის, სადაც გაერთიანდებიან „მოქმედი" ათლეტებიც და სარბიელიდან უკვე წასულებიც. განა მსახიობებს უკეტავენ თეატრალური საზოგადოების კარს, როცა ისინი სცენას ტოვებენ? არც ჟურნალისტებს რიცხავენ მათი კავშირიდან ასაკის გამო. სპორტსმენები — ჩვენ კი ახლა ძალიან ბევრნი ვართ — უკეთესი ხვედრის ღირსნი არიან, ვიდრე საკუთარი კლუბის კედლებზე „ფოტოგრაფიებად" დარჩენაა.

● რაღაც უსიხარულო ლაპარაკი გამოგვივიდა.

რატომ „უსიხარულო"... ეს, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული, მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს. რომ იცოდეთ, რა კარგი იქნება, „სპორტსმენთა კლუბი" რომ შეიქმნას. იქ ივლიან არა მარტო სპორტსმენები, არამედ უბრალო სპორტის მოყვარულებიც, შეხვდებიან საინტერესო ხალხს, ნახავენ სპორტულ ფილმებს. ეს სასარგებლო საქმე უნდა გაკეთდეს.

● თქვენ ათი წელია თამაშობთ ქვეყნის ნაკრებში. გიფიქრიათ, როგორ ხდება სპორტსმენი კაპიტანი, ჩემპიონი?

— ამბობენ, დიდი სპორტსმენების შვილები „ვარსკვლავები" არ გამოდიან. საქმე გენეტიკა როდია. მთავარი აღზრდაა. ჩემი ბიჭი ახლა ექვსი წლისაა. მას აქვს საუკეთესო ბურთები, კარგი სპორტული ფეხსაცმელი, შეუძლია უყუროს უძლიერეს კალათბურთელთა ვარჯიშს, შეუძლია თვითონაც სცადოს კალათში ბურთის ჩაგდება. მაგრამ ჩემს შვილს არა აქვს ის სიძნელეები, რაც მე გადავიტანე ბავშვობაში. ჰოდა, ახლა მე ვცდილობ შევუქმნა მას რაღაც, თუნდაც ხელოვნური სირთულეები. სხვათა შორის, მტკიცე ხასიათი კაცს მარტო სპორტისთვის როდი სჭირდება. იგი საჭიროა ყველა საქმეში დასახული მიზნის შესასრულებლად.

● როგორც იტყვიან ხოლმე, ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, რა შეცდომების გამეორებას არ ისურვებდით?

— ზუსტად ისევე ვიცხოვრებდი, როგორც ახლა ვცხოვრობ. შეცდომებს კი უცვლელად გავიმეორებდი. ჩემთვის ისინი თავისებურად ძვირფასია — ვცდებოდი იმიტომ, რომ ვმუშაობდი. ვინც არაფერს აკეთებს, იმას შეცდომა არ მოუვა. ოღონდ ერთხელ დაშვებული შეცდომა მეორედ აღარ უნდა მოუვიდეს.

● რას უსურვებდით თქვენს თავს?

— გატაცებას. იწყება ახალი მუშაობა და მინდა მან ისე გამიტაცოს, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი დამავიწყოს. აი, ასეთი მუშაობა გვანიჭებს კმაყოფილებას. ბოლოს და ბოლოს, თვით ოქროს მედალიც კი სიმბოლოა, მთავარი კი წარმატებით, გამარჯვებით მონიჭებული შინაგანი სიხარულია.

ა. გორბუნოვი,
ვ. ჰუკუშკინი.
(ტასს-ის კორ.).

* * *

სურათზე: მოდესტას მ. პაულაუსკასი.

## ვის რაში სჭირდება?

32 წლის კანადელი ქ. ისტუდი მზად არის გორგოლაჭებიანი ციგურებით დაფაროს მარათონული დისტანცია ნიუ იორკიდან ლოს-ანჯელესამდე, რომელიც დაახლოებით 3 ათას მილს შეადგენს. ისტუდმა განაცხადა: ვარჯიშის პროცესში ყველა სირთულე ავწონდავწონე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ მანძილის დაფარვას 56 დღეში შევძლებო.

ვთქვათ, კანადელმა მართლაც აისრულა განზრახვა. საინტერესოა, ვის რაში სჭირდება ასეთი არაფრის მთქმელი მოგზაურობა?

## ესეც ახალი სპორტი!

აი კიდევ ერთი „ახალი სახეობა" — ჩოგბურთი ყინულის მოედანზე. სტანდარტული ზომის მოედანზე მშვიდად დასრიალებენ სპორტსმენები. ბურთი ხან ხვდება ჩოგანს, ხან სცდება მას. თუ ერთმა მონაწილემ ძლიერად დაარტყა, შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ მეორე ბურთს ვერ აიღებს.

ჩოგბურთი ყინულოვან მოედანზე პოპულარული თამაშია ჩრდილოეთის ქვეყნებში. მისი ინიციატორები არიან „ტირაჟიდან გამოსული" ჩოგბურთელები, რომლებიც ცდილობენ როგორმე მიიქციონ სპორტული საზოგადოებრიობისა და მაყურებლების ყურადღება.

## ფეხბურთი

რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის ეროვნული ნაკრების სელექციონერის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს 60 წლის ოსვალდო ბრანდაო — „პალმეირასის" მწვრთნელი. რაც შეეხება მარიო ზაგალოს, იგი მშვიდადაა: — მე ორწლიანი კონტრაქტი მაქვს „ბოტაფოგოსთან" და ამ ხნის პერიოდში არაფერზე ვფიქრობ — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ბუენოს-აირესი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაასახელა ის ქალაქები, სადაც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები უნდა ჩატარდეს. თამაშები მოეწყობა: კორდოვაში, მარ-დელ-პლატაში, მენდოზასა და როზარიოში.

## კალათბურთი

ბელგრადი. იუგოსლავიის იუნიორთა ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხა ეგვიპტის გუნდი — 82:64 (46:31).

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## თუმცა ასე აცხადებს...

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მიულერი იტალიაში ისვენებდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა.

— ფეხბურთში მივაღწიე ყველაფერს, რაზეც კი შეიძლება მოთამაშემ იოცნებოს: ევროპის ჩემპიონობას, ჩემპიონთა თასს, მსოფლიო ჩემპიონობას. ყოველივე ამის გამო აღარ ვაპირებ ნაკრებში თამაშს. შეიძლება, ფეხბურთს საერთოდ დავანებო თავი.

ჟურნალისტებმა მაინცდამაინც სერიოზულად არ მიიღეს მიულერის განცხადების ეს ბოლო ნაწილი. საქმე ისაა, რომ მისი ხელშეკრულება „ბაიერნთან" მთავრდება... 1979 წლის მაწურულს.

● ●

## ჩემპიონთა ტურნირი

იუგოსლავიაში ყოველი სეზონის წინ ეწყობა საინტერესო შეჯიბრება. მასში მონაწილეობენ გუნდები, რომელთაც ოდესმე ჰქონიათ იუგოსლავიის ჩემპიონის წოდება.

ეს ტრადიცია ახლა უნგრელებმაც გადაიღეს. სანამ უნგრეთის ჩემპიონატი დაიწყება, ბრძოლაში ჩაებმებიან რესპუბლიკის ყოფილი ჩემპიონები „ჰონვედი", „დოზა" (უიპეშტი), „ვაშაში", მტკ, „ფერენცვაროში" და „დიერი".

● ●

## რუმინელთა გამარჯვება

ნიცაში დამთავრდა სტუდენტ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს რუმინელებმა. III ადგილისთვის ბრძოლაში ლუქსემბურგელებმა მოუგეს ფრანგებს — 1:0.

● ●

## შრივერსი — „აიაქსში"

ამსტერდამის „აიაქსის" დიდი მარცხი (ასეთადაა მიჩნეული III ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში), სხვა მიზეზებთან ერთად, იმითაც იყო განპირობებული, რომ გუნდს საიმედო მეკარე არა ჰყავდა.

„აიაქსის" ხელმძღვანელობის ხანგრძლივი მოლაპარაკება ეროვნული ნაკრების ძირითად მეკარე იონგბლოდთან უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, „აიაქსმა" დაიყოლია ნაკრების მეორე მეკარე შრივერსი, რომელიც აქამდე „ტვენტეში" თამაშობდა. ამსტერდამელებს მომავალ სეზონში იმედი აქვთ კვლავ ებრძოლონ ჩემპიონობისთვის თავიანთ ძირითად მეტოქეს — „ფეიენოორდს" (როტერდამი).

● ●

## მიულერის შემცვლელი

„ბაიერნი", რომელმაც წლეულს გფრ-ის ჩემპიონობაც მოიპოვა და ევროპის ჩემპიონთა თასიც, არც მომავალ სეზონში აპირებს პოზიციების დათმობას.

ამ დღეებში გუნდმა 700 ათასი მარკა გადაიხადა „დუისბურგის" ცენტრალურ თავდამსხმელ ვუნდერში. იგი 23 წლისაა, ძალზე შედეგიანი მოთამაშეა და, გუნდის ხელმძღვანელობის აზრით, შეუძლია შეცვალოს მიულერი.

● ●

## დი სტეფანო — „სპორტინგში"

ესპანეთის I ლიგის კლუბ „ვალენსიაში" 4 წლის მუშაობის შემდეგ ა. დი სტეფანო პორტუგალიაში გადავიდა. იგი სათავეში ჩაუდგა ამ ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს „სპორტინგს" (ლისაბონი). ამ კლუბში, როგორც ცნობილია, თამაშობს „ოქროს ბუცის" ახლანდელი მფლობელი ჰ. იასალდე (არგენტინა). გუნდი იმედოვნებს წარმატებით ითამაშოს ეროვნულ ჩემპიონატშიც და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც.



## „იკაროსი" ცხრამეტი წლისაა

ამერიკის ორეგონის შტატის მცხოვრები, 19 წლის დეივ მილერი ბავშვობიდანვე ოცნებობდა ფრენაზე. ამას წინათ დეივს ოცნება აუხდა. მან გააკეთა ფრთები, რომელსაც სურათზე ხედავთ, გადმოხტა მაღალი კლდიდან და ნელა დაეშვა ზღვისკენ. მან ჰაერში თითქმის ორ წუთს დაჰყო...

ფოტო ნორვეგიის ჟურნალ „აქტუელიდან".

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1974-75 სასწავლო წლისთვის

სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, ცურვისა და ფარიკაობის განხრით.

IV კლასში მოსწავლეები მიიღებიან სპეციალური შემოწმების შემდეგ. V, VI, VII, VIII, IX კლასებში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთაც ექნებათ სპორტული თანრიგი არჩეულ სახეობაში.

განცხადებების მიღება და მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონის შემოწმება — 5 სექტემბრამდე.

სწავლება ქართულ ენაზეა.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი გლდანი. ტელეფონი 62-41-34; 62-53-05; ავტობუსი № 24 მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან".

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04720